თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 8 დეკემბერის სხდომის

ო ქ მ ი N 7

2023 წლის 8 დეკემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ვაჟა კიკნაძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ნინო მინდაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.
2. ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კომისია.
3. მიმდინარე საკითხები.

ღია კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

გიორგი ჭეიშვილმა სამეცნიერო საბჭოს აცნობა, რომ მიმდინარე წლის 14 დეკემბერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ლავრენტი ჯანიაშვილს ეწურება უფლებამოსილების ვადა და საჭიროა არჩევნების ჩატარება. მან საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის - ლავრენტი ჯანიაშვილის კანდიდატურა.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა და სხვა.

გამოითქვა აზრი, რომ ლავრენტი ჯანიაშვილი არის კარგი პროფესიონალი, აქვს კავშირები ინსტიტუტის გარეთ არსებულ სხვადასხვა სამეცნიერო სეგმენტთან, არის

უკონფლიქტო ადამიანი და მეორე ვადითაც კარგად გაართმევს თავს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობას.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარედ 2023 წლის 14 დეკემბრიდან 5 წლის ვადით არჩეულ იქნას ლავრენტი ჯანიაშვილი.

მოისმინეს:

2. ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კომისია.

გიორგი ჭეიშვილი: მოგახსენებთ, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი 5 დეკემბერს გამოცხადდა. სამეცნიერო საბჭოს გასულ, 3 ნოემბრის სხდომაზე შეიქმნა საკონკურსო კომისია. თანახმა ხართ თუ არა, რომ აღნიშნული კომისიის შემადგენლობა უცველი დარჩეს.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ნინო მინდაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: უცვლელად დარჩეს სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 3 ნოემბრის სხდომაზე შექმნილი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შემადგენლობა (ოქმი N6, 03.11.2023):

გოდერძი ნარიმანიშვილი - <u>კომისიის თავმჯდომარე,</u> საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ლიანა ბითაძე - <u>კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,</u> თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
სალომე ოქრუაშვილი - <u>კომისიის მდივანი,</u> თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთვარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

3. მიმდინარე საკითხები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო საბჭოს მომართა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა - მზია ტყავაშვილმა. მას დასაბეჭდად გამზადებული აქვს მონოგრაფიული ნაშრომი და ითხოვს წიგნი ინსტიტუტის გრიფით გამოიცეს. საბჭოს ორი წევრი გაეცნო აღნიშნულ ნაშრომს და ბატონი როლანდ თოფჩიშვილი წარმოგვიდგენს მოსაზრებას.

როლანდ თოფჩიშვილი: წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ჩრდილო–დასავლეთ კავკასიის ეთნიკური ისტორიის საკითხებს. მისი გამოცემის შემდეგ ბევრი პრობლემა გახდება ნათელი, მათ შორის, აფხაზებთან მიმართებაშიც და აღარ იქნება საკამათო. მონოგრაფიაში შესწავლილია მიგრაციის, ეთნიკური წარმომავლობის პრობლემა, განსაკუთრებით, ჩერქეზულ–აფხაზურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა. იმედია, ნაშრომს მიენიჭება ინსტიტუტის გრიფი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ელდარ ბუბულაშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: **მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0**.

დაადგინეს: მზია ტყავაშვილის მონოგრაფიას მიენიჭოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი: მომავალ წელს სრულდება 1924 წლის სახალხო აჯანყებიდან 100 წლისთავი. თსუ აპირებს ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენცია და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ჩვენი ინსტიტუტიც გამართავს საერთაშორისო ან ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებას აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ 2024 წლის სექტემბრის დასაწყისში ინსტიტუტში ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება 1924 წლის აჯანყებას. სასურველია, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა ავთანდილ სონღულაშვილმა გაუწიოს ორგანიზება, აღნიშნული სამეცნიერო ღონისძიების ჩატარებას.

სხდომამ დაადგინა:

1. სამეცნიერო საჭოს თავმჯდომარედ 2023 წლის 14 დეკემბრიდან 5 წლის ვადით არჩეული იქნას ლავრენტი ჯანიაშვილი.
2. უცვლელად დარჩეს სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 3 ნოემბრის სხდომაზე შექმნილი

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შემადგენლობა (ოქმი N6, 03.11.2023):

გოდერძი ნარიმანიშვილი - <u>კომისიის თავმჯდომარე,</u> საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ლიანა ბითაძე - <u>კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,</u> თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

სალომე ოქრუაშვილი - <u>კომისიის მდივანი,</u> თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

3. მზია ტყავაშვილის მონოგრაფიას მიენიჭოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

08. 12. 2023

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს 2023 წლის 8 დეკემბრის სხდომას
ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

გიორგი ჭეიშვილი

ლევან გორდეზიანი

მარიამ ჩხარტიშვილი

ავთანდილ სონღულაშვილი

ქეთევან ხუციშვილი

როლანდ თოფჩიშვილი

ლიანა ბითაძე

გიორგი ქავთარაძე

ვახტანგ გოილაძე

ეკა კვაჭანტირაძე

ვაჟა კიკნაძე

ელდარ ბუბულაშვილი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო მინდაძე

ხათუნა იოსელიანი

სალომე ოჭრუაშვილი

ლავრენტი ჯანაშვილი

ალექსანდრე დაუშვილი